„...ᲝᲮ ᲡᲮᲔᲮᲐᲢᲗᲨᲘᲡᲐ ᲧᲠᲘᲡ ᲠᲐᲡᲘ ᲗᲠᲘᲡᲐ ᲗᲮᲔᲮᲐᲢᲗ ᲜᲐᲮᲐᲜᲘᲡ !..“

ქართული!..

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთი ❖ №6, 1999 წელი ❖ ფასი 30 თეთრი

ინფორმაცია

1999 წლის 26 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვანე ფარგეზში გაიმართა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს მიერ ორგანიზებული მორიგი მუდმივმოქმედი სემინარი თემაზე: „სახელმწიფო ენის სწავლება სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი განათლების დაწესებულებებში“. სხდომას ესწრებოდნენ: აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტის მეთოდიკათა კათედრების წარმომადგენლები, სასწავლო დაწესებულებათა პედაგოგები. სხდომის დასასრულს მონაწილეთა სურვილით შეიქმნა ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ზემოაღნიშნულ სასწავლო დაწესებულებებში არსებულ ენობრივ პრობლემებზე.

ჯგუფის შემადგენლობა:

ᲔᲣᲔᲣᲜᲐ ᲤᲔᲘᲥᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ — პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა.

ᲜᲐᲠᲒᲘᲖᲐ ᲯᲐᲯᲐᲜᲘᲫᲔ — დოცენტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტის მეთოდიკათა კათედრა.

ᲜᲝᲠᲐ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ქუთაისის განათლების განყოფილება.

ᲭᲘᲗᲔᲕᲐᲜ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ — საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო.

ᲛᲐᲘᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ — დ. უზნაძის სახელობის საავტორო სკოლა.

ᲤᲐᲢᲘ ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ — მე-4 ბაგა-ბაღი.

განათლების განყოფილების მიერ წარმოდგენილ ორ კანდიდატურას მოგვიანებით გაცნობებთ.

შევუქმნათ ჩვენს ჰატარებს

1999 წლის 26 ნოემბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მორიგი მუდმივმოქმედი სემინარი თემაზე: „სახელმწიფო ენის სწავლება სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი განათლების დაწესებულებებში“. მასში მონაწილეობდნენ: საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე დოცენტი მარინე ჭაცარავა, პროფესორი ეუფუნა ფეიქრიშვილი, დოცენტი რუსუდან საღინაძე; დაწყებითი განათლების ფაკულტეტის მეთოდიკათა კათედრის დოცენტი ნარგიზა ჯაჯანიძე, ქუთაისის სკოლამდელი, დაწყებითი აღზრდის პედაგოგები.

დიალოგს უძღვებოდა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს მეცნიერ-კონსულტანტი პროფესორი **ტარიელ ფუტკარაძე** — ჩვენი შეხვედრის თემა: **„სახელმწიფო ენა და სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი განათლების დაწესებულებები“** შემთხვევითი არ ყოფილა. იგი შეირჩა იმ მიზნით, რომ გაგვერკვია, როგორია სახელმწიფო ენის, მდგომარეობა ბაგა-ბაღებში, დაწყებით კლასებში. ეს არსებითია იმიტომ, რომ საქართველოს ყველა ქალაქში ქართული ბაგა-ბაღების ნაცვლად სხვაენოვანი ბაღები ყალიბდება. ჯერ ეს კერძო ბაღების ფონზე ხდება, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება სახელმწიფო ბაღებიც უცხოენოვან ბაღებად გადაკეთდეს. ამ თემაზე გვსურს ჩვენ საუბარი და მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვისაც ამაზე გული შესტკივა, ვინც დღეს გვესტუმრა. ჩვენს თანამშრომელს ერთ-ერთი ბაღის გამგემ უთხრა, რომ მას, თურმე, ინგლისური ენა ქართულის სწავლებას უადგილებს. ეს არის უკულმართი და ავადმყოფური აზროვნება. როგორ ეხმარება მას ინგლისური ქართულის სწავლებაში, მაინტერესებს და, როცა ასე აზროვნებს თუნდაც ერთი ადამიანი, ძალიან მძიმედ და რთულადაა საქმე. ჩვენი ამ შეკრებით იქმნება გარკვეული სურათი: რა ხდება სკოლამდელ დაწესებულებებში, შემდეგ — დაწყებით სკოლაში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. იმედი არა გვაქვს, რომ ამ შეხვედრებით მოხდება რადიკალური ცვლილება, მაგრამ ჩვენ დავსვამთ პრობლემას, ფაქტობრივად, წარმოვაჩენთ მას, ხოლო ამ პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოს სხვა ინსტანციების საქმეა.

ᲜᲐᲠᲒᲘᲖᲐ ᲯᲐᲯᲐᲜᲘᲫᲔ — დღევანდელი შეხვედრის სატკივარი უცხოენოვანი ბაღებია. ამის შინაარსს არავინ ჩაღრმავებია. ჩვენ დროულად ვიწყებთ ამაზე საუბარს. ეს არის კონტინგენტის მიზიდვის ერთ-ერთი ხერხი შემოსავლებისა და მშობლებისგან თანხის „ამოსაქაჩად“. სკოლებშიც იგივე მდგომარეობაა. როგორ დავიჯერო, რომ 3-4 წლის ბავშვს შეუძლია პირდაპირ ინგლისურის ან გერმანულის შესწავლა?! არ გაკვირვებია მოწინავე პედაგოგიკურ აზროვნებაში არსებული ფრაზა, რომელიც გვიხსნის, რომ არ უნდა დავიწყოთ ბავშვთან მეორე ენის სწავლება, ვიდრე მშობლიურ ენას არ ვასწავლით კარგად: „ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხუდგმელ ბავშვს ცხენზე ჯირითი დავაწყებინოთ“. აი, პირდაპირ საჯირითოდ შეგვყავს ბავშვები უცხოენოვან ბაღში, მშობლები ამით თავს იწონებენ და მსჯველობიდან გვრჩება მშობლიური ენის სწავლება. ეს არის საწყისი პრობლემებისა და აქედანვე უნდა მიეხედოთ მას, მაგრამ მეორე საკითხია ის, რომ უმეტესობა სახელმწიფო ბაღებისა დახურულია. ამის გამოძახილი გახლავთ ის, რომ ჩვენს სკოლამდელი აღზრდის სპეციალობაზე, ორი წელია, ერთი ან ორი ახალგაზრდა მოდის, როცა ადრე ყველაზე მეტი მსურველი აქ იყო. შემოგთავაზებთ წინადადებას: კი არ შევამოწმოთ, უბრალოდ, გავიაროთ ბაგა-ბაღებში, გავეცნოთ მდგომარეობას, პროგრამას, როგორც ქართულის, ისე — უცხო ენისას, თუნდაც მოსამზადებელი პერიოდი მივცეთ ამისთვის. ყოველივე ამის შემდეგ უკეთ გავაკეთებთ ანალიზს.

ᲤᲐᲢᲘ ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ — *მე-4 ბაგა-ბაღის გამგე* — მე ძალიან დამაინტერესა დღევანდელმა შეკრებამ. რაც აქ ითქვა, ჩემი გულისტკივილიცაა. ბავშვები საკმაო რაოდენობით არის უბანში, მაგრამ ჩემს ბაღში არ მოჰყავთ. ძალიან გამიკვირდა, ეს ჩემთვის დიდი ტკივილი იყო. დავინტერესდი, რატომ ხდებოდა ასე და გავედი უბანში. დასახლება „ელიტარულია“ (ბუაჩიძის ქუჩა) და, ერთ-ერთის ოჯახში რომ მივედი, მეუბნებოდა: „ეს ბავშვი ბაღში ვერ ავიყვანე, ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს, ბებიამ ასწავლა“. ეს ბავშვი ბაღში ვერ ავიყვანეთ, ეს ბავშვი ბაღში ვერ ავიყვანეთ... ეს ბავშვი ბაღში ვერ ავიყვანეთ... ეს ბავშვი ბაღში ვერ ავიყვანეთ...

სახელმწიფო ენა და ჩვენი თანაქალაქელები

**ჩვენ რეგიონის საქართველოს პარლამენტში ამ-საუბრის ასოციაციის ეს წარმოადგენენ ფაკულტეტზე საქართველოს ეროვნული ენა ბევრ ადამიანს ეზარება ან ეშინია ენის ინტერესებზე ლაპარაკი. ეს ალბათ ის ფაქტორია, რომ

ჩვენ, ენა და ქუჩა

რეკლამა, რეკლამა?..

რეკლამათა სიჭარბე ტელევიზიაში, პრესაში, ქუჩებსა თუ შენობებზე უკვე აღარავის გვაკვირვებს, უფრო მეტიც, ხშირად გვაღიზიანებს კიდეც. უკმაყოფილების მიზეზი უამრავია: მათი პერიოდულობა, ფორმა, შინაარსი, ენობრივი გაუმართავობა... ამჯერად სწორედ ამ უკანასკნელ მხარეს შევეხებით. ჯერ კი მცირე შესავალს გავაკეთებთ.

„საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ“ პარლამენტმა 1998 წელს მიიღო. ჩვენ არ შევუდგებით იურიდიული დოკუმენტის განხილვას. როგორი ადგილი უჭირავს ენობრივ საკითხს ქვეყნის კანონებსა და ნორმატიულ აქტებში, ეს ცალკე საუბრის თემაა. ჩვენ გვინდა კანონის მხოლოდ იმ ნაწილს შევეხოთ, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ენობრივ პრობლემებთან.

მაშ ასე, II თავში მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს: **„რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშანის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე;“**

ხოლო მე-3 პუნქტში ვკითხულობთ: **„რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით“.**

დავიწყოთ პირველით—ის, რომ რეკლამა საქართველოში ქართულად უნდა სრულდებოდეს, უდავოა, რადგან სახელმწიფო ენა, ქვეყნის კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, არის ქართული (აგრეთვე, აფხაზეთში—აფხაზური). რაც შეეხება მუხლის იმ ნაწილს, სადაც საზღვარგარეთ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების რეკლამაზეა საუბარი, გვსურს, მასზე ვრცლად ვიმსჯელოთ.

სასაქონლო ნიშანი, ე.წ. ლოგოტიპი, უბრალო ენით რომ ვთქვათ, წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ სამეწარმეო საქმიანობისას არჩეულ და რეგისტრირებულ პირობით ნიშანს (გამოსახულება ან წარწერა), რომლის საშუალებითაც იცნობა პროდუქცია ან პროდუქციის მწარმოებელი. იგი ინდივიდუალურია ყველა იურიდიული ერთეულისათვის და მისი მითვისება ან ქურდობა ისჯება კანონით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზღვარგარეთ რეგისტრირებული ლოგოტიპის ყველა მფლობელს ევალება, რეკლამა წარმოადგინოს ტრანსლიტერაციის წესით, რაც გულისხმობს „ერთი დამწერლობის ასოების გადაცემას სხვა დამწერლობის ასოებით“. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, შესაბამისი სამსახურების (ანტიმონოპოლიური სამსახური) მუშაობის შედეგად, მრავალი რეკლამა გაქართულდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შედეგი არც თუ ისე სახარბიელოა, ვინაიდან კანონის მოცემულ მუხლში არ არის დაზუსტებული წარწერების ზომები, რეკლამათა მფლობელებმა ქართულენოვანი წარწერა მინიმალურ ზომამდე დაიყვანეს, და ეს მაშინ, როცა უცხოენოვანი მაქსიმალურად არის გაზრდილი. შედეგად ვხედავთ, რომ რეკლამათა უმრავლესობაზე ქართული თითქმის შეუმჩნეველია, ხოლო უცხური რამდენჯერმე აღემატება ქართულს. ბუნებრივია, იბადება კითხვა – რასთან გვაქვს საქმე, ეროვნული ხასიათის გულგრილობასთან თუ მიღებული კანონის იურიდიულ ლაფსუსთან. ვფიქრობთ, პასუხი თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ თავში უნდა ეძებოს, რადგან კანონის დაუხვეწაობით თავის მართლება საუკეთესო გამოსავალი არ გახლავთ... საქმე ჩვენს ეროვნულ ღირსებასა და თვითშეგნებას ეხება, ამიტომ აღნიშნული საკითხისადმი მეტი გონიერება, პასუხისმგებლობა და გულისხმიერება გვმართებს.

აქვე გვინდა შევეხოთ იმ შეცდომასაც, რომელსაც ხშირად უშვებენ ტრანსლიტერაციის დროს. მრავალი რეკლამა წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე. ეს კი ის უხეში გრამატიკული შეცდომაა, რომელიც დაუშვებელია არა მხოლოდ უცხოენოვანი ლოგოტიპების ქართულად გადმოცემისას, არამედ ჩვეულებრივ მეტყველებაშიც კი. თავად განსაჯეთ, როგორ ჟღერს: **„ტაიდ კარგი ფხვნილია“**. უხერხულია! – ყველამ უნდა ვიცოდეთ უმარტივესი გრამატიკული წესი, რომ ყველა თანხმოვანფუძიან სიტყვას სახელობით ბრუნვაში დაერთვის ბრუნვის ნიშანი – ი. ასე რომ, მართებული იქნება **სტიმოროლი, ელენდემი, სნიკერსი, რიბოკი, პანასონიკი** და არა სტიმოროლ, სნიკერს, რიბოკ, პანასონიკ და სხვა.

რაც შეეხება ზემონახსენებ მე-3 პუნქტს, „ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები (ვერ) რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით“ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დღემდე არ არსებობს „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“. არადა ამ კანონის არსებობასა და ავკარგიანობაზე დიდად არის დამოკიდებული მშობლიური ენის ბედი და მომავალი.

იოსებ იარღანაშვილი

სიტყვები პროფილში ანუ ენის მარგალიტები

წარმართი

თანამედროვე ქართულ ენაში სიტყვა **წარმართი** კერპთმსახურს ნიშნავს და უპირისპირდება მართლმორწმუნეს, ქრისტიანს.

ნიკო მარი ამ სიტყვას უკავშირებდა სვანურ **წარმართს** და აღნიშნავდა, რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა **ღმერთი.**

ივანე ჯავახიშვილი **წარმართს** ორ ნაწილად ჰყოფდა. **წარ-მართ** და მას უპირისპირებდა **უკუღ-მართს**, ე.ი. წარმართი ნიშნავს მართალს, სწორად მავალს (სვანურ „წარმართს“ იგი განმარტავდა, როგორც „წალმართი“ და იმოწმებდა სვანური პოეზიიდან სტრიქონს: „აწარმათი კუთხვა მიშგუ“, რაც ნიშნავს: „აბა, წალმართი, კურთხეულო ჩემო თოფო“), ხოლო **უკუღმართი – უკუღმა, არასწორად** მავალს. აქედან გამომდინარე, თავდაპირველად „წარმართი“ **კერპთმსახური** და **ურწმუნო** კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ – **მორწმუნე**. მართლაც, ქართულ სასულიერო პოეზიაში „წარმართი“ მართლმორწმუნის მნიშვნელობით გვხვდება, მაგალითად: „ძელითა დაგსაჯეს მხსნელო და სიკუდიდ მიგცეს ღმერთი უკვდავი, არამედ აწ აღდეგ, ძლიერო... დასცენ ურწმუნონი... და შემკრიბენ **წარმართნი** მგალობლად შენდა“, ანდა „აღდგა ღმერთი საფლავით და განიბნინეს მტერნი მისნი, ხოლო **წარმართთა** ერი მიეგებვიან ღმერთსა აღდგომილსა მკვდრეთით“ („დასადებელი აღდგომისანი“, „ქართული სასულიერო პოეზია“, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1913-წ.). ასე რომ, ორსავე შემთხვევაში **წარმართი** ურწმუნო კი არ არის, არამედ **მორწმუნე**, ამ შემთხვევაში—**ქრისტიანი.**

არნოლდ ჩიქობავა განმარტავს, რომ **წარ-მართის** (წარმართვა ღვთისადმი) თავდაპირველი მნიშვნელობა აღნიშნავდა **მართლმორწმუნეს** იმისდა მიუხედავად, იგი კულტის, მრავალღმერთიანობის აღმსარებელი იყო თუ ერთღმერთიანობისა, გაქრისტიანებამდე ქართველნი იყვნენ „წარმართნი“, ე.ი. მართლმორწმუნენი, გაქრისტიანების შემდეგაც ასევე იყვნენ „წარმართნი“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, თუ წინათ ცეცხლის თაყვანისცემა იყო **წარმართობის** საზომი, ახლა ქრისტიანობამ დაიჭირა მისი ადგილი.

ამჟამად **წარმართის** მნიშვნელობა დავიწროვებულია: თუკი ადრე იგი ღმერთის მორწმუნეს აღნიშნავდა, ახლა მხოლოდ კერპთმსახურს, არაქრისტიანს, ურჯულოს ნიშნავს და არა – მორწმუნეს.

არნ. ჩიქობავას გამოკვლევის („ეტიმოლოგიური ძიებანი“, თბ., 1991, გვ. 117) მიხედვით მასალა მოამზადა

ლუიზა სამაკურიძემ

სხვა ენები და ერები

ეტრუსკები

ეტრუსკებისა და მათი საიდუმლოებით მოცული ენის წარმოშობის პრობლემას თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში „ნომერ პირველ გამოცანას“ უწოდებენ. ეტრუსკული სიტყვები „ცისტერნა“, „პერსონა“, „ცერემონია“ და მრავალი სხვა მსოფლიოს ხალხთა ბევრ ენაშია შესული, ხოლო მრავალრიცხოვან სწავლულთა მცდელობა – დაადგინონ ეტრუსკული ენის ნათესაობა მსოფლიოში ცნობილ რომელიმე ენასთან, უშედეგოა (გამოკვლევები აღორძინების ხანაში დაიწყეს და ჯერ კიდევ არ დასრულებულა). ეტრუსკულ ენას ადარებდნენ ძველბერძნულსა და ძველებრაულს, ლათინურსა და ქართულს, ალბანურსა და ძველირლანდიურ ენებს, სამხრეთ ამერიკის მკვიდრი მუქკანიანი დრავიდების ენას, ამერიკის წითელკანიან ინდიელთა, პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ბასკთა და მცირე აზიის ხეთთა ენას; სლავურსა და გერმანულ ენებს, ხმელთაშუა ზღვის მკვდარ ენებს... და მაინც, ის დღემდე რჩება „უთვისტომოდ“ მაგრამ თუ ეტრუსკულმა ენამ ვერ „მოახერხა“, ნათესავები მოეძებნა, ეტრუსკული ანბანის გენეალოგია კარგადაა ცნობილი. იგი, უეჭველად, ბერძნული ანბანიდან მომდინარეობს (თუმცა, ეტრუსკთა დამწერლობაში არსებობს სპეციფიკური ნიშანი „რვიანი“—8, „Ф“ ბგერის გადმოსაცემად, ბერძნულში ის არ არის, მაგრამ ეს „რვიანი“ არის მცირე აზიის ანბანთა ნიშნების შემადგენლობაში).

ეტრუსკული ანბანით დაახლოებით 11.000 წარწერაა შესრულებული. მათი უმრავლესობა მოკლე ეპიტაფიებია, რომლებიც ჩვ. წ. აღ–მდე VII–I საუკუნეებს მიეკუთვნება. წარწერები შემორჩენილია ტყვიისა და ოქროს ფირფიტებზე, სარკეებზე, ლარნაკებზე, ქანდაკებებზე, ბრინჯაოს ნაწარმსა და სათამაშო ძვლებზე. წერდნენ მარცხნიდან მარჯვნივ. ცნობილია ფინიკიურ–ეტრუსკული ბილინგვა, 25 სიტყვით (ქ. პირგი), წარწერა კრამიტზე 60 სიტყვით (ქ. კაპუა) ყველაზე გრძელი ტექსტი–ათასხუთასი სიტყვით (ჩვ. წ. აღ–ით I ს.), გამოსახულია მუმიის სელის სუდარაზე: იგი ეგვიპტეშია აღმოჩენილი და ამჟამად იუგოსლავიის ქალაქ ზაგრების მუზეუმში ინახება.

ეტრუსკული ენის ფონეტიკური სისტემა 20 ფონემისაგან შედგებოდა: 4 ხმოვანი, 16 თანხმოვანი, 4 დიფთონგი. ფონეტიკა განსაკუთრებულია იმით, რომ მას არ გააჩნია მჟღერი მსკდომები და ო ხმოვანი.

მორფოლოგიის თავისებურება კი ისაა, რომ სიტყვის აგებულებაში გამოიყოფა სუბიექტის ფორმები და რიგი მორფემებისა, რომლებიც სახელისა და ზმნის სისტემებში ასრულებენ როგორც მორფოლოგიურ, ასევე – სინტაქსურ ფუნქციებს. ეტრუსკულ ენაში განირჩევა 2 სქესი (მდედრობითი და მამრობითი) და 2 რიცხვი (მხოლობითი და მრავლობითი). ზმნას გააჩნია წარსული, ახლანდელი და მტკიცებითი ფორმები.

ეტრუსკულ წინადადებაში ზმნა–შემასმენელი ბოლოშია;

ამ მხრივ ეტრუსკულ სინტაქსთან მსგავსებას ავლენს ლათინური... (მკითხველისათვის აქვე საინტერესო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ მეცნიერებათა ერთი ნაწილი ლათინურ ანბანს ეტრუსკულისაგან მომდინარედ მიიჩნევს)...

ეტრუსკული ენის ლექსიკური მარაგი განსაზღვრულია; წარწერათა უმეტესობა საკუთარი სახელებისაგან შედგება. დაახლოებით 150 სიტყვის მნიშვნელობაა გაშიფრული, მათ შორის—რიცხვითებისა (I-დან 9-მდე).

წარწერები ძირითადად ნაპოვნია: ეტრურიაში, კამპანიაში, ლაციასა და ჩრდ. აფრიკაში (კართაგენი).

მასალა მოამზადა

ლია რუსაძემ

სწორმეტყველება

რიგობით და წილობით რიცხვით სახელთა მართლწერა

რაოდენობითისაგანაა წარმოქმნილი რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. მათი მართლწერისა და სწორმეტყველებისათვის გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

1. რიგობითი რიცხვითი სახელი შეიძლება გამოიხატოს როგორც რომაული, ისე – არაბული ციფრებით. რომაული ციფრით გამოხატვისას მაწარმოებელი საჭირო არაა, არც თავში იწერება რაიმე და არც – ბოლოში.

მცდარია:	**მართებულია:**
მე–V	**V (მეხუთე)**
მე–X–ე	**X (მეათე)**
XX–ე	**XX (მეოცე)**

სხვა რომაული ციფრები: **I (პირველი), L (ორმოცდაპეათე), C (მეასე), O (მეხუთასე), M (მეათასე).**

2. რიგობით რიცხვით სახელთა არაბული ციფრებით გამოხატვისას კი უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

ა) თუ რიგობითი რიცხვითი სახელი მარტივფუძიანია (მაწარმოებელი **მე**–თავში მოუდის) ან უკავშიროდაა შეერთებული, ჯერ იწერება თავსართი, შემდეგ კი დეფისი და ბოლოს––სათანადო რიცხვი (ციფრით).

მცდარია:	**მართებულია:**
2–ე	**მე–2 (მეორე)**
მე–19–ე	**მე–19 (მეცხრამეტე)**
300–ე	**მე–300 (მესამასე)**
1000–ე	**მე–1000 (მეათასე)**

ბ) თუ რიგობითი რიცხვითი სახელი **და** კავშირითაა შეერთებული (მაწარმოებელი **მე** – რთული რიცხვის შიგნითაა მოქცეული), მაშინ ჯერ იწერება რიცხვი (ციფრით), შემდეგ დეფისი, ბოლოს —— **-ე: 25-ე, 58-ე, 90-ე, 102-ე, 425-ე, 1143-ე...**

მცდარია:	**მართებულია:**
მეოცდახუთე	**ოცდამეხუთე**
მეოთხმოცდამეთხუთმეტე	**ოთხმოცდამეთხუთმეტე**

3. რიცხვის ციფრობრივი გამოხატვისას ფუძეზე დართული ელემენტები: ბრუნვის ნიშანი (გარდა სახელობითისა), ნაწილაკი, თანდებული დეფისით გამოეყოფა ციფრს: **4-სა და 5-ს, მე-10-ში** (უმჯობესია **X-ში, 32-ეც, 8-ზე**...).

4. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები ერთად, ერთ სიტყვად იწერება.

მცდარია:	**მართებულია:**
მეოცდახუთედი	**ოცდამეხუთედი**
მეორმოცდამეცამეტედი	**ორმოცდამეცამეტედი**
მეასმეათედი	**ასმეათედი**

ცალ–ცალკე დაიწერება: **ერთი მეხუთედი, ორი მესამედი, სამი მეათედი...**

5. **ნახევარი** (მეორედის ნაცვლად იხმარება) უკავშიროდ დაერთვის სახელს და დეფისით გამოეყოფა მას: **რვა-ნახევარი, კილო-ნახევარი, წელიწად-ნახევარი, თვე-ნახევარი, დღე-ნახევარი.**

6. პარალელურ ფორმათაგან **მესამოცე წლები** და **სამოციანი წლები** ორივე უნდა იქნეს მიჩნეული კანონიერად. ასეგე იქნება: **მეოთხმოცე წლები ოთხმოციანი წლების, ოთხმოცდამეათე წლები ოთხმოცდაათიანი წლები** (თან. ქართ. სალიტ. ენის ნორმები).

დღევანდელ მეტყველებაში უფრო გავრცელებულია **-იან** დაბოლოებიანი წარმოება. ამიტომ, უმჯობესია, უპირატესობა მას მიენიჭოს. იგი საზღვრულ წევრთანაც უფროა შეხამებული და სმენასაც არ ეჩოთირება.

რუსუდან სალინაძე

ტერმინოლოგია და საქმისწარმოება

უცხოურია:	**ქართულია:**
гайка (გაიკა)	ქანჩი
гильза (გილზა)	მასრა,ჰილზი
глушитель (გრუჩიტელი)	მაყუჩი
жестянщик (ჟეშტიანჩიკი)	მეთუნუქე
жидкость (ჟიტკოსტი)	სითხე
зазор (ზაზორი)	ღრეჩო
заряд (ზარიადი)	მუხტი
кислота (კისლატა)	მჟავა
клапан (კლაპანი)	სარქველი
колпак (კალპაკი)	ხუფი
кольцо (კალიცო)	რგოლი

ვარლამ დათაშვილი

სიტყვათა ალიდი



შეავსეთ ისე, როგორც მოცემულ მაგალითებშია ნაჩვენები.

წინა ნომერში გამოქვეყნებული „სიტყვათა ალიდის" პასუხები:

ბეღლა, გვირილა, ხათაბალა, ბურბუშელა, გორილა, მოლეკულა, დამბლა, ცოცინათელა, ტაბლა, ნოველა, ხარველა, ცოხარტყელა, ჩურჩხელა, ყორამალა, მაწანწალა, ფთილა, ხაფრთხობელა, პეპელა, წკეპლა, თხუნელა, ბობოლა, ხახრჩობელა.

რატომ ვამბობთ ასე?

„მიზანი ამართლებს საშუალებას"

ამ გამოთქმის აზრი ეეზუიტთა ძალიან მოდაში წარმოდგა. მსგავს მოსაზრებებს ავითარებდა იტალიელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ნიკოლო მაკიაველი (1469–1527 წწ.) თხზულებაში „მთავარი" (1532 წ.). ინგლისელი ფილოსოფოსი ტომას ჰობსი (1586–1679 წწ.) წიგნში „მოქალაქეების შესახებ" (1642 წ.) წერდა: „უშედეგოა მისი მიზნისაკენ სწრაფვა, ვისაც მოქმედებისას ყოველგვარი საშუალების გამოყენების ნებას არ რთავენ. აქედან გამომდინარე, თუკი ყველას აქვს უფლება თვითგადარჩენის, აქვს უფლებაც, გამოიყენოს ყოველნაირი ხერხი, ჩაიდინოს ყოველგვარი ქმედება, რის გარეშედაც ის ვერ შეძლებდა თავის დაცვას".

იეზუიტი პატრი ჰერმან ბუზენბაუმი თავის თხზულებაში „ღვთისმეტყველების ზნეობრივი საფუძვლები" (1645 წ.) წერდა: „ვისთვისაც დაშვებულია მიზანი, მისთვის დაშვებულია საშუალებაც"; ფრანგმა ფიზიკოსმა და ფილოსოფოსმა ბლეზ პასკალმა (1623–1662 წწ.) თავის ნაშრომს „წერილები პროვინციელს" (1656–1657 წწ.). საფუძვლად დაუდო იეზუიტთა სიტყვები: „საშუალებათა ბიწიერებას ჩვენ ვამართლებთ მიზნის სიწმინდით". ამით მან ამხილა იეზუიტთა კაზუისტიკა (1. შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკასა და ღვთისმეტყველებაში: ზოგად დოგმატურ დებულებათა მიყენება ცალკეული შემთხვევისათვის. 2. ყალბი ან საეჭვო დებულების მტკიცება სხვადასხვა ხრიკით) მათი უღირსი მორალი––ყველა საშუალებით, თვით მკვლელობითაც კი, დასახული მიზნის მიღწევა;

ამგვარია მოკლე ისტორია გამოთქმისა „მიზანი ამართლებს საშუალებას", რომელსაც ჩვენთან თითქმის ყოველთვის ნიკოლო მაკიაველის სახელს უკავშირებენ.

უცხო სიტყვები

ჩვენს დროში საზოგადოების თითქმის ყველა ფენისათვის კარგად ცნობილი გახდა იურიდიული, ეკონომიკური და, განსაკუთრებით, საკანონმდებლო ორგანოსთან დაკავშირებული ტერმინები. ამჯერად, გთავაზობთ რამდენიმე მათგანის განმარტებას, ისტორიასა და სწორ ფორმას.

პარლამენტი — მომდინარეობს ფრანგული სიტყვისაგან parlement>parler — ლაპარაკი, მეტყველება. პარლამენტი ბურჟუაზიულ ქვეყნებში უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ არჩევითია. ინგლისში უწოდებენ პარლამენტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — კონგრესს, შვეიცარიაში — რიკსდაგს, ნორვეგიაში — სტორტინგს.

ვეტო — განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა შემდეგნაირადაა ახსნილი: რაიმე ორგანიზაციის კრების მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა, რომელიც კრებას უფლებამოსილს ხდის, ხელი მის დადგენილებებს –კანონიერს.

ვეტო ლათინური სიტყვაა, იგი წარმოადგენს ნაცვალსახელის „რომელი" (qui) მრავლობითი რიცხვის ფორმას—„რომელთა"

ძველი დროიდან ინგლისის პარლამენტში არსებობდა ჩვეულება — სხდომა გაეხსნათ თავმჯდომარის სიტყვებით ლათინურ ენაზე „quorum prasentia sufficit" (ქვორუმ პრეზენციაა სუფიციტ) — „რომელთა დასწრებაც საკმარისია", ეი. რომ უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, ამ მნიშვნელობით დამკვიდრდა ფრაზის პირველი სიტყვა (quorum) სხვადასხვა ენაში.

სიტყვათა სესხებისას ყველა უცხოურ ბგერათკომპლექსს ქართული შესატყვისი გაჩნია. ლათინურ qu –ს ქართულში **კვ** შეესაბამება (ადეკვატური, აკვარელი, ეკვივალენტი), ამიტომ, ზემოთ აღნიშნული სიტყვის წერისას თუ გამოთქმის დროს მართებულია **კვორუმი** და არა ქვორუმი.

ფრაქცია — ლათინურად „fractio" მტვრევას, რღვევას ნიშნავს, აქედან დამკვიდრდა იგი ფრანგულში (fraction). პარლამენტში ფრაქცია ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის დეპუტატთა ორგანიზებული ჯგუფია, რომელიც პარტიის მიერ შემუშავებული ხაზის გამტარებელია საკანონმდებლო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ფრაქცია შესაძლოა, არსებობდეს პოლიტიკურ პარტიაშიც, ეწოდება დაჯგუფებას, რომელსაც აქვს განსხვავებული შეხედულებები და პლატფორმა, თავისი ორგანიზაციული ცენტრი, მაგრამ მაინც რჩება პარტიის რიგებში.

მაჟორიტარი — ფრანგული სიტყვაა majoritare>majorite — უმრავლესობა მომდინარეობს ლათინური ფუძისგან ქფოწკ — უმეტესი; დაკავშირებულს უმრავლესობასთან ან დაფუძნებულს უმრავლესობაზე უწოდებენ მაჟორიტარულს, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა დემოკრატიულ ქვეყნებში არის საარჩევნო უფლების სისტემა, რომლის დროსაც უპირატესობას ანიჭებენ იმ კანდიდატს, რომელმაც სათანადო ოლქში ხმათა უმრავლესობა მიიღო.

სპიკერი — ინგლისური სიტყვა „speaker" ქართულად ორატორს ნიშნავს. სპიკერი ინგლისში და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში პარლამენტის თემთა პალატის თავმჯდომარეა, ამერიკის შეერთებულ შტატებში — წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე, საქართველოში — პარლამენტის თავმჯდომარე.

ვიცე — ლათინურად „vice" ნიშნავს ნაცვლად, მაგიერ. ეს წინდებული მნიშვნელობით შესაბამისია სიტყვებისა: „მოადგილე", „მემცვლელი", „დამხმარე".

მასალა მოამზადა სოფიო სულაბერიძემ.

რედაქტორთა საბჭო:
ოფსეგ ვარლამაშვილი, ლია რუსაძე, რუსუდან სალინაძე (მასალისმგებელი მდივანი), სოფიო სულაბერიძე, ტარიელ ფუტკარაძე (მთავარი რედაქტორი), მარინე ქაცარავა, ქეთევან ყურაშვილი
მთავარი რედაქტორი ლია ტუსაძე

დირექტორატი: ლოლა ბაბრიაძე, ვარლამ დათაშვილი

რეგისტრაციის ნომერი 19/06-311

ჩვენი მისამართი: ფანდა ნინოს ქ. №19
ტ. 5-02-99, 4-28-83
E-mail: tinre @ sanetk. net. ge

გაზეთი კომპიუტერზე აწყობა, დაკაბადონება და დაბეჭდა ს/ს „სტამბაში" მისამართი: ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33